

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 14 მაისის =54 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 14 მაისის =54 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. გაიზარდოს სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვითი ნაწილი 9 000 ლარით, რაც გამომდინარეობს ერთის მხრივ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეორეს მხრივ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2014 წლის 10 აპრილის №32040305/2014/4 ხელშეკრულებიდან.
2. გაიზარდოს სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვითი ნაწილის სამეცნიერო-კვლევითი გრანტების გრაფა 1 114 843 ლარით, რაც გამომდინარეობს ერთის მხრივ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და მეორეს მხრივ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან.

2.1. ასევე, გაზრდას დაექვემდებაროს ბიუჯეტი ევრო გრანტებიდან მიღებული დაფინანსებით, რაც სავარაუდოდ შეადგენს 984 011 ლარს, რომლის ზუსტი მოცულობაც დაზუსტდება ჩარიცხული თანხების ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციისა და თანხების კონვერტაციის შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სულ სამეცნიერო გრანტებიდან შემოსავლები გაიზარდოს 2 098 854 ლარით და ხარჯები გაიწეროს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში თანდართული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

2.2. ასევე, 2014 წლის 30 აპრილის საგრანტო ხელშეკრულებიდან (№AR/41/10-150/13) გამომდინარე, რომელიც გაფორმებულია სტუ-სა და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის სტუ წარმოადგენს თანადამფინანსებელ ორგანიზაციას 18 970 ლარით. აღნიშნული თანხა ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების, ელ. მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო, საკომუნიკაციო აპარატურის, ავეჯის შეძენის მუხლიდან გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე.

2.3. ასევე, სტუ წარმოადგენს თანადამფინანსებელ ორგანიზაციას ევროკომისიასთან გაფორმებული ხელშეკრულების TEMPUS IV პროექტის 543904–TEMPUS–1-JPCR თანახმად 3 000 ევროს ექვივალენტით ლარებში, რაც შეადგენს 7 300 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე 7 300 ლარი არაფინანსური აქტივების, ელ. მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო, საკომუნიკაციო აპარატურის, ავეჯის შეძენის მუხლიდან გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე.

3. გაიზარდოს სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ასევე, ხარჯვითი ნაწილი 40 283 ლარით, რაც გამომდინარეობს ერთის მხრივ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეორეს მხრივ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2014 წლის 8 აპრილის №09-1/61-18; №09-1/61-19; 09-1/61-20 ხელშეკრულებიდან და ითვალისწინებს „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ასევე, ხარჯვითი ნაწილი გაიზარდოს ჯამში 2 148 137 ლარით.

4. ასევე, დამტკიცდეს სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტში შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

4.1. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 11 600 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების პუნქტში;

4.2. არქიტექტურის, ურბანიტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, შეძენის ხარჯებიდან 450 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების პუნქტში.

5. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ელექტრო მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 2200 ლარი გადატანილი იქნეს ნედლეულისა და მასალების შეძენის მუხლში.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 14 მაისის =54 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 14 მაისის =54 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს გასაიჯარებელი ფართების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ს გასაიჯარებელი ფართები, კერძოდ: მე-6 სასწავლო კორპუსის მე-6 სართულზე არსებული 18 კვ.მ და პირველი კორპუსის მე-5 სართულზე არსებული 5 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართები, ქსეროგრაფიული საქმიანობის მიზნით, 2 წლის ვადით.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 14 მაისის =54 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 14 მაისის =54 სხდომაზე პროფ. დავით თავხელიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ენერგოდამზოგი და ალტერნატიული ენერგეტიკული დანადგარების სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 აპრილის დადგენილება №1130.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ენერგოდამზოგი და ალტერნატიული ენერგეტიკული დანადგარების სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 14 მაისის #54 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 14 მაისის #54 სხდომაზე პროფ. ზურაბ ვაშაკიძემ წარმოადგინა საკითხი საერთო საცხოვრებელი სახლის აშენების შესახებ.

სენატმა დაადგინა: მოწონებულ იქნეს პროფ. ზურაბ ვაშაკიძის წინადადება და მისი შესწავლის მიზნით საკითხი გადაეგზავნოს სტუ-ს ადმინისტრაციას.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 14 მაისის =54 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 14 მაისის =54 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს მე-9 სასწავლო კორპუსისა და ადმინისტრაციული კორპუსის უკანა კედელზე საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის შენობის ორი მიმართულების მანიშნებელის განთავსების შესახებ.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის ფონდს განათავსოს სტუ-ს მე-9 სასწავლო კორპუსის წინა და ადმინისტრაციული კორპუსის უკანა კედელზე საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის შენობის ორი მიმართულების მანიშნებელი.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 14 მაისის №54 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 14 მაისის №54 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზანის ფაკულტეტის დოქტორანტის მარინა ჯავახიშვილის სწავლების საფასურის ნაწილობრივი გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 4 მარტის დადგენილება №1096.

სენატმა დაადგინა: არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზანის ფაკულტეტის დოქტორანტი მარინა ჯავახიშვილი განთავისუფლებულ იქნეს სწავლების საფასურის გადაუხდელი თანხის (550 ლარი) გადახდისაგან.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 14 მაისის №54 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 14 მაისის №54 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს საბუღალტრო-ანგარიშგების დეპარტამენტის მიერ დამოუკიდებელი ანგარიშის გახსნის შესახებ.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თხზმობა სტუ-ს საბუღალტრო-ანგარიშგების დეპარტამენტს გახსნას დამოუკიდებელი ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება უნივერსიტეტის თანამშრომელთა, სტუდენტთა და, ასევე, ნებისმიერი მესამე პირის მიერ განხორციელებული ფულადი შემოწირულობა სტუ-ს მე-8 სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილ ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით .

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 14 მაისის №54 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 14 მაისის №54 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული განვითარების, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრის“ სახელწოდების შეცვლისა და მისი ახალი დებულების დამტკიცების შესახებ.

სენატმა დაადგინა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული განვითარების, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრს“ ეწოდოს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრი“ და სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით დამტკიცდეს მისი ახალი დებულება.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 14 მაისის №54 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 14 მაისის №54 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 6 მაისის №MES 2 14 00264277 წერილის შესაბამისად, სსიპ - თბილისის №61-ე საჯარო სკოლისათვის უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართობის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

სენატმა დაადგინა: სსიპ - თბილისის №61-ე საჯარო სკოლას თხოვების ფორმით გადაეცეს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, თბილისში, კოსტავას ქ. №71-ში მდებარე უნივერსიტეტის მე-7 სასწავლო კორპუსის მე-2 (302.46 კვმ), მე-3 (501.71 კვმ), მე-4 (538.21 კვმ) და მე-5 (513.57 კვმ) სართულებზე არსებული ფართი (საკადასტრო კოდი 01.10.13.040.003.01.01.517) 2 წლის ვადით.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე